საქართველოს კომუნისტური პარტია (ბალშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

კვირა, 15 აგვისტო 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 18 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 18

## მსოფლიო ომი თუ მსოფლიო რევოლიუცია?

არა ერთხელ გვითქვამს, რომ ანტანტას მხრივ ბურჟუაზიულ-პომეშჩიკურ პოლონეთის წასისიანება მუშურ-გლეხურ რუსეთზე წარმოადგენს კლასობრივ, სამოქალაქო ომს. ბურჟუაზიული ევროპა თავს ესხმის და გასრესით ემუქრება სოციალისტურ პროლეტარულ სახელმწიფოს. ანტანტას და მის გასისხლიანებულ დამქაშ—პანების პოლონეთს იმდენათ ჰრ აინტერესებდა რუსეთის ტერიტორიის წაგლეჯა, რამდენათ საბჭოთა სისტემის დამხობა რუსეთში, რომელიც გადაქცეულია ევროპის ასაფეთქებელ ჩირაღდნათ. და ასეთ პირობებში ვინც იარაღის ძირს დაშვებას ურჩევს რუსეთს, ვინც მშვიდობიანობას უქადაგებს მას, ვინც პაციფიზმის მლაშე ფორმულებით მიმართავს მას, ის გუწრფელადაც რო სჩადიოდეს ამას, მაინც ბურჟუაზიის უნებლიე დამხმარე, მისი აგენტი და მაკლერია. იმპერიალისტური ომი უკვე გადაიქცა მთელ რიგ ქვეყნებში სამოქალაქო ომად, მშრომელთა მასსები პირველად ამუშავებენ იარაღს თავის საკუთარ კლასობრივ ინტერესებისათვის, პირველად ებმიან თუ ჩასაბმელათ ემზადებიან ერთად-ერთ სამართლიან, პროგრესის მომასწავებელ ომში და ვინც ამ დროს მათ მიმართავს ხუცურად: „მშვიდობა ყოველთა“-ს ხელს უწყობს მშრომელთა დამონავების გაგრძელებას, კაპიტალის უმძიმეს უღლის ქვეშ დატოვებას, იმპერიალისტთა ყაჩაღურ შაიკის წყალობით დაყენებულ სისხლის ზღვაში დახრჩობას, ის კაპიტალის ვექილი და სიკოფანტია მშრომელთა ბანაკში. ვინაიდან საკითხი დგას არა იმპერიალისტურ ომის განახლებაზე, საკითხი დგას მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის კვანძის გახსნის შესახებ: გახრწნილ კაპიტალისტურ ქვეყნიერების სასაფლაოზე გატანის შესახებ. აქ შეიძლება დროებით უკან დახევაზე ფიქრი უკეთ მოსამზადებლათ, უფრო მოხერხებულ დროს და მომენტის შესარჩევად, მოსისხლე მტრის უფრო სუსტი მხარის და ადგილის უკეთ შესასწავლად, აქ დასაშვებია ტაქტიკური უკან დახევა, და არა სტრატეგიული, მით უმეტეს ბრძოლაზე, კლასობრივ ომზე ხელის აღება. მაგრამ ასე არ ფიქრობს შავის და თეთრის, ცეცხლის და წყლის შემაერთებელი „ერთობა“—მისთვის, უეცრად, ომი, ასეთი ომიც კი მხოლოდ განადგურების მომასწავებელი მოვლენად გადაქცეულა.

„კომუნისტი“-ო, სწერს გაზეთი გუშინდელ მეთაურ წერილში, „არ უფრთხის იმ საშინელებას, რომელიც ომის განახლებით თავს დაატყდება მთელს კაცობრიობას, ცალკე ერებს და მეტადრე დემოკრატიას. დაე გაიჟლიტოს ხალხი, დაე საბოლოოთ განადგურდეს კაცობრიობის მიერ საუკუნოებით შექმნილი ავლა-დიდება, ოღონდ კი გაიმარჯვოს „იდეამ“. ასეთია კომუნისტების მსჯელობის დედა-აზრი. ეს არის წმინდასექტანტური იდეოლოგია, ეს არის ფანატიზმი‘ რომელიც მზათ არის „კაცობრიობა“ მსხვერპლათ შესწიროს „იდეას“.

ასე მოსთქვამს ცოტა დაგვიანებით გაზეთი, ის გაზეთი, რომელიც ასე არ მღეროდა იმპერიალისტურ ომის დროს, არც კერენსკი-წერეთლების ივნისის „შეტევის“ დღეებში. არც მაშინ, როცა ბორჩალოს მაზრის ერთი საზოგადოს გამო სომეხ-ქართველ „დემოკრატიის“ სისხლი იღვრებოდა „საუკუნოებით შექმნილი ავლა-დიდება“-ს დღეს ფეხაუდგმელმა ბავშმაც კი [illegible]—[illegible]ანადგურეს და გაანიავეს სწორედ [illegible]ქვენმა ქებულმა „დასავლეთის იმპერიალისტებმა“, გაანადგურეს სწორედ „დემოკრატიის“ ხელით, მისი სისხლის დაღვრით და დაუსრულებულ ჯოჯოხეთში ჩაგდებით. არ აიღებენ განადგურებაზე ხელს შემდეგშიაც, ვინაიდან იმპერიალიზმის ბუნება დაუსრულებელი შეხლა-შემოხლის, ომის მატარებელია, ვინაიდან მისი მომვლინებელი ფინანსიური კაპიტალი გილფერდინგის სიტყვებით „ეძებს არა თავისუფლებას, არამედ დამონებას“, დამონებას ერებისას, მუშათა კლასისას! მხოლოდ სოციალიზმ კომუნიზმია მშვიდობიანობის და ერთაშორის ძმობის მატარებელი და გამამტკიცებელი. მაგრამ ამ მისიის შესრულებას ის შესძლებს მხოლოდ და მარტო იმ შემთხვევაში, თუ საბოლოოდ დაამარცხებს და დაასამარებს განუწყვეტელი ქიშპობის, ომის და ჩაგვრა-ძალადობის წყობილებას, როცა დალეწავს ფინანსიური კაპიტალის სისხლში ამოსვრილ ტახტს. ეს წუთი ახლოვდება. პოლონეთის პანების სიტახტო ქალაქი სადაცაა პოლონელ პროლეტარების რევოლიუციის ქურად უნდა გადაიქცეს, და ამ დროს ზეცისაკენ სასოებით თვალის მიპყრობა და პაციფისტურად პირჯვრის წერა შეეფერება მხოლოდ მათ, ვისაც იმპერიალიზმი პროლეტარულ რევოლიუციას ურჩევნია.

## გერმანია იცინის.

პოლონეთის ფრონტზე საბჭოთა ჯარების გამარჯვება სხვადასხვანაირ განწყობილებას იწვევს საზოგადოებრივ ძალთა შორის მთელი ქვეყნის პროლეტარიატი სულით და გულით საბჭოთა რუსეთის მხარეზეა და აღფრთოვანებული დღესასწაულობს მის გამარჯვებას. კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია მებატონეთა პოლონეთის მხარეზეა, ის შიშსა და და ბრძოლას მოუცავს და სასოწარკვეთილი აქეთ იქეთ ეხეთქება.

მაგრამ არის ერთი გამონაკლისი კონტრ რევოლიუციონურ ბურჟუაზიის ბანაკიდან, აქ არა სუფევს ერთნაირი აზრთა და გრძნობათა მიმდინარეობა. მაშინ როდესაც ინგლისი და საფრანგეთი გლოვის ზარით და გაბოროტებულ კბილთა ღრჭიალით ქვეყანას აყრუებენ, გერმანია სიხარულით ივსება და ჩუმათ „სახელოში იცინის“.

რა არის ამის მიზეზი? ნუ თუ პოლონეთის სიბრალული ატირებს ერთთ, ხოლო საბჭოთა რუსეთის გამარჯვება ახარებს მეორეს?

რა თქმა უნდა, პოლონეთის დარდი არავისა აქვს. არა ერთხელ გამოუმეტნიათ ინგლისს და საფრანგეთს მცირე და დიდი ერები თავისი მზაკვრული ინტერესებისათვის. იგივე პოლონეთი მათ სამუდამო საკუთრებათ აჩუქეს თვითმპყრობელურ რუსეთს და სამაგიეროთ მიიღეს არა-ნაკლები გემრიელი სახრავი ლუკმა. და თუ დღეს ასე შეშფოთებულან და გამწარებულან ისინი პოლონეთის სასტიკ დამარცხებისა გამო, ეს მხოლოთ იმიტომ, რომ პოლონეთში მათ დაკარგეს უკანასკნელი იმედი საბჭოთა რუსეთის განადგურებისა. პოლონეთმა ვერ გაუმართლა მათ ის ავაზაკური გეგმა, რომელიც მდგომარეობდა პროლეტარული რევოლიუციის დათრგუნვაში. დღეს მათი ფალავანი—პოლონეთი არა თუ ველარ ურტყამს მათ მტერს, თითონ გამხდარა საპატრონო და მოსავლელი. თანაც ეს მისგანვე ატეხილ ომში დაჭრილი ავადმყოფი ისე მძიმეთ არის დაკოდილი, რომ მისი ბურჟუაზიულათ მორჩენის იმედი ტყუილია. მას მხოლოთ პროლეტარული დოსტაქრობა [illegible]აყენებს სასიკვდილო სარეცელიდან. ამის შემხედვარეს, მის ქირისუფალ ანტანტას გული უკვდება და თვით ჯოჯოხეთის ძალებს იხმობს საშველათ.

მეორე მხრით, ისიც აშკარაა რომ საბჭოთა რუსეთის გამარჯვება თავის თავათ არაფრათ ეჭაშნიკება შეიდემანების გერმანიას. განა გერმანია არ იყო, რომ 1918 წელს ისე უდიერათ, ისე უტიფრათ და წმინდა-ავაზაკურათ სჯიჯგნიდა საბჭოთა რუსეთის დასუსტებულ სხეულს და და ამოსუნთქვას არ ანებებდა იმპერიალისტური ომით განაწამებ რუსეთის პროლეტარიატს? ბურჟუაზიულ გერმანიას იმდენი ბოროტება მიუყენებია საბჭოთა რუსეთისათვის და მიუყენებია სრულიათ შეგნებულათ, რომ დღეს მას არავითარი უფლება არა აქვს, რომ თავისთავათ საბჭოთა რუსეთის გამარჯვება სასიამოვნო მოვლენათ მიიჩნიოს და სიხარულით ტაში შემოკრას.

თუ მაინც დღეს გერმანია მხიარულ გუნებაზე დამდგარა და როგორც ამერიკული რადიო იუწყება, ჩუმათ სახელოში იცინის, ამის მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ.

საქმე იმაშია, რომ ერთ დროს ამაყი და გულზვიადი გერმანია, რომელიც შიშის ზარს სცემდა მთელ ქვეყანას თავისი გინდენბურგების, მაკენზენების და ლიუდენდორფების ლაშქრობით, რომლის იმპერატორს ვილგემს ცა ქუდათ არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნათ, ეს გერმანია დედამიწის პირამდე გაასწორეს მისგან არა-ერთხელ ძლეულმა მტრებმა და სასიკვდილო თოკი წაუჭირეს ყელში. ეს მოიმოქმედეს პოლონეთის დღევანდელმა ქირისუფლებმა, უმთავრესათ ინგლისმა და საფრანგეთმა, რომელთა წასისიანებით თავისთავათ სუსტი პოლონეთიც კი მალაყებს გადადიოდა გერმანიის ზურგზე.

რაღა გასაკვირია, თუ პოლონეთის დღევანდელი დამარცხება, რომელიც უდიდესი დამარცხებაა ანტანტისა, სიხარულით ავსებს გერმანიას, რადგან ეს მისი მოსისხლე მტრების სხვისი ხელით დამარცხებაა. გერმანიას იმედი ეძლევა კვლავ წელში გასწორდეს და ვერსალის ზავის მიერ მიყენებული იარები მალე მოიშუშოს. თავის მეტოქის მიერ პირდაპირ ბრძოლაში დამარცხებული გერმანია ცდილობს ისარგებლოს მისი მეტოქის დღევანდელი გაჭირებული მდგომარეობით და აღადგინოს ის ზარალი, რომელიც მან ნახა, როგორც იმპერიალისტურმა სახელმწიფომ.

ის უკვე აღარ ეპუება ანტანტის სახელმწიფოებს, აშკარათ ლაპარაკობს ვერსალის ხელშეკრულობის გაუქმებაზე, და ამავე დროს რუსეთსა და პოლონეთთან დამოკიდებულობის საქმეში თავის მხრით აყენებს ნეიტრალიტეტს. ეს ნეიტრალიტეტი იმას უდრის, რომ გერმანიამ არ გაატაროს პოლონეთის საშველათ მომავალი ანტანტის ჯარები და ეს ხომ შექმნილ მდგომარეობის დროს დიდათ ხელსაყრელია საბჭოთა რუსეთისათვის.

რუსეთის პროლეტარიატი, რომელიც თავის მოქმედებაში სავსებით ეყრდნობა მთელი ქვეყნის პროლეტარიატის სოლიდარობას, ამავე დროს ხშირათ მოხერხებულათ სარგებლობს იმით, რომ მის მტერ ბურჟუაზიაში მეფობს შუღლი, მეტოქეობა და ერთმანეთის გაუტანლობა. მაშინ, როდესაც პროლეტარული სოლიდარობა იზრდება, ღრმავდება და ფართოვდება, ბურჟუაზიული მეტოქეობა თანდათან მწვავდება, ერთიც და მეორეც გზას უხსნის პროლეტარიატს საბოლოო გამარჯვებისაკენ.

რაც შეეხება გერმანიას, მისი სიცილიც ნაადრევია, თუ ფიქრობს, ის ძველ მდგომარეობას მოიპოვებს! იმპერიალისტური გერმანია სამუდამოთ მოკვდა და მისი გაცოცხლება ამ ქვეყნიურ ძა[illegible]ლას აღარ შეუძლია. მაგრამ [illegible] ანტანტის დამარცხება [illegible] [illegible]ის მიერ დამონებულ გერმანიის პროლეტარიატის გამარჯვებაა და ამ უკანასკნელს მართლა მართებს მხიარულება. გერმანია აღდგება, მაგრამ იგი აღდგება მხოლოთ როგორც პროლეტარული გერმანია.

## საქართველოს მენშევიკები ვერ ცნელებენ ბალშევიკების გამარჯვებას.

მესამე წელიწადია, რაც რუსეთში სწარმოებს სამოქალაქო ომი. ერთი მხრით თავგანწირვით იბრძვიან რუსეთის მუშები, მშრომელ გლეხებთან ერთად. მეორე მხრით მათ ფოლადისებურ გულ-მკერდს ეხეთქებიან რუსეთის გაბოროტებული მემამულეების, გენერლების, ოფიცრების და ბურჟუაზიის კონტრ-რევოლიუციის ტალღები. შინაურ ყაჩაღთა ხროვას ზურგს უმაგრებს ევროპის კონტრ-რევოლიუცია, რომლის მიზანია რუსეთის რევოლიუციის სისხლში ჩახრჩობით ააცილოს ევროპის ბურჟუაზიას დროებით მაინც წითელი საშიშროება.

ამ სამი წლის განმავლობაში გამარჯვების სასწორი ხან ერთ მხარეზე იხრებოდა და ხან მეორეზე. ამ სამოქალაქო ომში იყო იმისთანა ხანა, როდესაც, კომუნისტებს გარდა, არავის არ ეპარებოდა ეჭვი საბჭოთა ძალა-უფლების დაცემაში. გავიხსენოთ 1918 წ. თებერვალ-მარტი, როდესაც გერმანიის იუნკრების ბასრი მახვილი განგმირვით ემუქრებოდა რუსეთის რევოლიუციის გულსა და ტვინს—პეტროგრად-მოსკოვს. გავიხსენოთ 1918 წ. ივლისი-აგვისტო, როდესაც ჩეხო-სლოვაკებმა აიღეს სიმბირსკი, სამარა, ყაზანი და მოსკოვს უახლოვდებოდენ. მოვიგონოთ 1919 წ. ოქტომბერ-ნოემბერი, როდესაც დენიკინის შავი ლაშქარი ტულის კარებთან იდგა და იუდენიჩი თავისი ურდოებით მიექანებოდა წითელი პეტროგრადისკენ; ის პეტროგრადთან ახლოს იყო; კიდევ ერთი პატარა გამარჯვება და პეტროგრადის ქუჩებზე უნდა დამდგარიყო მუშების სისხლის ტბები.

არა ერთხელ და ორხელ დამდგარა ამისთანა საბედისწერო ჟამი რუსეთის კონტრ-რევოლიუციისათვისაც.

არც ერთ ამგვარ ხანას არ ჩაუვლია ისე, რომ საქართველოს მენშევიკებს თავის ცენტრალურ პარტიულ ორგანოებში—„ბორბა-ერთობაში“ არ მოეთავსებიოთ ვრცელი მოწინავეები, არ დაეფასებიოთ ეს ხანები და არ გამოეთქვათ თავისი „ბრძნული“ აზრი ომის დაბოლოვებაზე და ამა თუ იმ მებრძოლი ძალის—ბალშევიზმის (რევოლიუციის) და ბურჟუაზიის (კონტრ-რევოლიუციის) საბოლოო ბედ-იღბალზე, მომავალზე.

ოქტომბრის კომუნისტური რევოლიუციის დასაწყისში მენშევიკები წინასწარმეტყველებდენ, რომ ბალშევიზმი იბოგინებს რამდენიმე დღეს, სულ დიდი 2—3 თვეს. იმ დროს, როცა ბალშევიკები მარცხდებოდენ „ბორბა-ერთობის“ ფურცლებზე აჭრელებდენ მოწინავეებს, სადაც მოსთქვამდენ თავის ღრმა, ურყეველ რწმენას, რომ ბალშევიზმი აუცილებლად დამარცხდება და მთელი რუსეთის ცას მოიცავს რეაქციის შავი ღრუბლები. ერთი სიტყვით, მენშევიკები სამოქალაქო ომის პირველ ხანაში წინასწარმეტყველებდენ ბალშევიზმის დამარცხებას იარაღით ბრძოლაში შინაურ კონტ[illegible]-რევოლიუციასთან, რომ[illegible]საც ზურგს უმაგრებდა ევრო[illegible]ის კონტრ-რევოლიუცია ბურ[illegible]ჟუაზიის მეთაურობით. ამ წინასწარმეტყველობის დროს მენშევიკები თუმცა ფიცულობდენ, რომ მათ ძლიერ წყენით ბალშევიზმის დამარცხება და რეაქციის გამარჯვება, მაგრამ არც ერთ დაკვირვებულ მკითხველს არ გამოეპარებოდა ის ფარული სიხარული, რომელიც ამის გამო გამოიხატებოდა მათ პრესაში.

უფრო საყურადღებოა ვიცოდეთ, თუ როგორ მოქმედებდა მენშევიკებზე ბალშევიკების გამარჯვება და როგორ უყურებდენ ისინი ამ გამარჯვებას.

იმ დროს, როცა ბალშევიკები იმარჯვებდენ და სწმენდენ კონტრ რევოლიუციონურ ძალებისაგან უკრაინას, ჩრდილოეთ-კავკასიას, ციმბირს, თურქესტანს და სხ., მენშევიკები თავის პრესაში, თუმცა აღნიშნავდენ ბალშევიკების გამარჯვების ფაქტს, მაგრამ ეს გამარჯვება მათ მიაჩნდათ დროებით გამარჯვებათ, რომელსაც ერთი თვის შემდეგ მოყვებოდა ისევ დამარცხება, გამარჯვების მიზეზს მენშევიკები ხედავდენ ბალშევიკების არა ფიზიკურ იდეურ ძალაში, არამედ მოწინაამდეგის მეტის-მეტ კონტრ-რევოლიუციონერობაში, მის ფიზიკურ-მორალურ სისუსტეში.

საკვირველი ლოღიკაა: ბრძოლაში გწამდეს რომელიმე ერთი მხარის, რომელიც მარცხდება, ფიზიკურ-მორალური სისუსტე და არ გწამდეს მეორე მხარის, რომელიც იმარჯვებს, ფიზიკურ-მორალური სიძლიერე! აქაც მენშევიკებს ეჭვი არ ეპარებოდათ ბოლოს და ბოლოს ბალშევიკების დამარცხებაში, მაგრამ ვერ არკვევდენ, თუ სანამდე გაგრძელდებოდა სამოქალაქო ომი, რომელიც თავისი ცვალებადი ხასიათით გავდა ბანქოს თამაშს. თუმცა მენშევიკები ფიცულობდენ, რომ მათ უხარიათ ბალშევიკების გამარჯვება და რეაქციონერების დამარცხება, მაგრამ დაკვირვებულ მკითხველს არ დაემალებოდა ის მწუხარება, რომელიც ამის გამო გამოიხატებოდა მათ პრესაში. ახლა მენშევიკებს არ სწამდათ, რომ ბალშევიკების დამარცხებას შედეგათ მოჰყვებოდა რეაქციის გამარჯვება. ისინი ამბობდენ, რომ რუსეთის ხალხში იმალება, გარდა ბალშევიზ-მონარქიზმისა, მესამე ძალა, რომელიც ადრე თუ გვიან წამოჰყოფს თავს და გაიმარჯვებსო. ეს მესამე ძალა, მათი აზრით, იყო დემოკრატიზმი, რომლის მატარებელია წვრილი ბურჟუაზია და რომელიც რუსეთში დაამყარებს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

აქ ერთი რამ არ უნდოდათ დაენახათ მენშევიკებს. ის, რომ მათი სატრფიალო ძალა-დემოკრატიზმი და მისი მატარებელი წვრილი ბურჟუაზია იმყოფებოდა მონარქისტთა-რეაქციონერთა ბანაკში. მოვიგონოთ ეს ძალები; ყუბანის რადა, რომელიც დენიკინის შავ-ლაშქართან ერთად რწყავდა ყუბანის და დონის ველებს მუშების, ღარიბი გლეხების და ყაზახების სისხლით; უკრაინის გრომადა, პეტლიურა და კომ., ბ. ჩერნოვი და სხვა „უჩრედიტელოვცები“, რომლებიც რეაქციის ცნობილ მებაირაღტრეს კოლჩაკს უმაგრებდენ ზურგს და სხვა. ყველა ეს ძალები წალეკილ იქმნა რეაქციონერებთან ერთად რუსეთის ძლევა-მოსილ სოციალისტური რევოლიუციის ტალღების მიერ.

გავიდა დრო და ხანი. პროლეტარიატის რკინის ქუსლმა გასრისა კოლჩაკი, მოსპო იუდენიჩი, დენიკი ‹ სხვა კონტრ-რევოლიუციონერები. რუსეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე ყინულიან ოკეანიდან კასპიისიონამდე, ვლადივოსტოკიდან რუმინია-პოლონეთამდე იწყო ფრიალი წითელმა კომუნისტურმა დროშამ. ახლა მენშევიკებს დაებნათ დავთარი. არ გამართლდა მათი პროგნოზი. ბალშევიკების ბრწყინვალე გამარჯვება, როგორც რუსეთის, ისე ევროპის კონტრ-რევოლიუციაზე ანტანტის მეთაურობით, მათთვის ფაქტი შეიქმნა. თუ მანამდის

ისინი იმედის თვალით დასავლეთისაკენ იცქირებოდენ, ფეხ-ქვეშ ეგებოდენ ანტანტას, მისი ხათრით დენიკინსაც კი ელოლიავებოდენ, ბალშევიკებთან, როგორც „დორებით და უნიადაგო“ მოვლენასთან რუსეთში, ლაპარაკიც კი ზედმეტად მიაჩნდათ, ახლა, როცა დაინახეს, რომ წითელი ტალღები მიუახლოვდათ, უცებ დასავლეთიდან ჩრდილოეთისაკენ იბრუნეს პირი, აფრინეს თავისი რწმუნებული მოსკოვში და შეკრეს ბალშევიკებთან იმისთანა ზავი, რომელიც ნიშნავს თითქოს დასავლეთის ორიენტაციას, ამ 2 წლ. განმავლობაში რაზედაც დიდი ენერგია და ხალხის ფული დაიხარჯა (გაიხსენეთ ბანკეტები) ჩრდილოეთის ორიენტაციად შეცვლას ნიშნავდა.

სწორეთ ამ დროს მენშევიკები თითქო სიხარულით მიეგებენ ბალშევიკებთან შერიგებას, მაგრამ ამ სიხარულს თან ახლდა ჩრდილი მწუხარება - დალონებისა, რომელიც გამოწვეული იყო რუსეთის სოციალისტური რევოლიუციის წითელი ტალღების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წალეკვის შიშით.

საბჭოთა რუსეთს მოევლინა ახალი უბედურება ანტანტის მიერ შემოჩენილი პოლონეთის სახით. პოლონეთის სამღვდელოების და მემამულეების თეთრი ჯარი პეტლიურას დახმარებით სწრაფი შეტევითი პყრობს ბელორუსიას, კიევს და თითქმის ნახევარ უკრაინას. მენშევიკების თითქო შერყეული რწმენა ბალშევიკების სიძლიერე - სისუსტე - უნიადაგობაზე ახლა ახალ სახეს ღებულობს იმ მხრივ, რომ დიდი პოლონეთი თავისი მრავალრიცხოვანი გაწვრთნილი ჯარით, ზურგ გამაგრებული ანტანტის მიერ, პეტლიურას დახმარებით მოუღებს ბოლოს ბალშევიკებს. მენშევიკების წრეებში ისევ შეანათა სიხარულის სხივმა, თუმცა ისინი ცდილობენ ამ სიხარულის დამალვას. გავიდა თვეზე ცოტა მეტი და, ჰოი საკვირველებავ! პოლონეთის ლეგიონერებმა რუსეთის წითელი ჯარის მედგარი მოწოლის გამო იწყეს უკან დახევა. ეს დახევა ორჯერ უფრო მეტი სისწრაფით ხდებოდა, ვიდრე შემოტევა. ქალაქი ქალაქებზე ეცემა, ციხეები-ციხეებზე. იმისთანა სიმაგრეები, როგორიცაა — გროდნო, ოსოვეცი, კოვნო, ბელოსტოკი, ბრესტ-ლიტოვსკი და სხვა—ვერ უძლებენ წითელი ჯარის თითო დაკვრასაც კი და ერთი-მეორეზე ზედი-ზედ ეცემიან. თითქმის ორი თვის განმავლობაში სასტიკათ დამარცხებული პოლონეთი კარგავს მთელს უკრაინას, ბელორუსიას და წითელი ჯარის მიწინავე რაზმები ლვოვის და ვარშავის მიდამოებში ნავარდობენ.

ყველასათვის ნათელ ხდება პოლონესასტიკი დამარცხება და ბალშევიკების ბრწყინვალე გამარჯვება. ამას ვერ მალავენ და ამაზე აშკარათ გაიძახიან თვით ევროპის არხიკონტრ-რევოლიუციონური ჯგუფები და პარტიები. თავზარდაცეული პოლონეთის მთავრობა, რომელსაც სამი თვის უკან არც კი სურდა ბალშევიკებთან ლაპარაკი ზავზე, დღეს მიმართავს ინგლისს და მუხლმოდრეკით ევედრება: არიქა, მიშველე, შემარიგე ბალშევიკებთან, თორომ ვიღუპებიო! ბურჟუაზიული ევროპა ძრწის და კანკალებს წითელი საშიშროების მოახლოვების შიშით. ევროპის პროლეტარიატს ემატება სიმხნევე-გამბედაობა პროლეტარული წითელი რეგულიალური ჯარის მოახლოვებით, თანდათან იმაღლებს ხმას თავიანთი რეაქციონური მთავრობების წინაამდეგ და ემზადება უკანასკნელი ბრძოლისათვის მასთან.

სწორეთ ამ დროს საქართველოს საბრალო მენშევიკები ახალ-ახალ მოწინავებს „აცხობენ“ რუსეთ-პოლონეთის ომის შესახებ და აღიარებენ რა პოლონეთის სასტიკათ დამარცხების ფაკტს, არ უნდათ იწამონ ბალშევიკების გამარჯვება. ამ უკანასკნელ დროს ისინი სწერენ, რომ თუმცალა პოლონეთი სასტიკად მარცხდება, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს ბალშევიკების გამარჯვებას. თუ ბალშევიზმი აქამდე ბოგინობს რუსეთში და კიდეც გამარჯვებული გამოდის მრავალი განსაცთელიდან, ეს ხდება იმიტომ, რომ ბალშევიზმს ამაგრებს სამოქალაქო ომი, რომლის წისქვილს ბლომად წყალს ასხამს ევროპის კონტრრევოლიუციაო. მაგრამ, როგორც კი გათავდება სამოქალაქო ომი და რუსეთის ხალხს მიეცემა შეძლება მიაქციოს ყურადღება თავის შინაურ ცხოვრებას, მაშინ ან „რევოლიუციონური“ წესით უნდა დაემხოს ბალშევიზმი-საბჭოთა სისტემა, ანდა ევოლიუციონური წესით უნდა შეიცვალოს ის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სისტემით-რესპუბლიკად. დაახლოვებით ასევე მსჯელობენ მინშევიკების მამები სლოვოდან. საქართველოს მენშევიკების ეს „ბრძნული“ აზრი ახალი არ არის. ამ აზრის გამოთქმა მათ იწყეს მას შემდეგ, როცა დარწმუნდენ, რომ სამოქალაქო ომში ბალშევიკების დამარცხება ყოვლად შეუძლებელია.

ასე ინუგეშებდენ თავს მენშევიკები ბალშევიზმის დამარცხების აუცილებლობის შესახებ რუსეთში სამოქალაქო ომის დაწყებიდან დღემდი.

კაია თავის ნუგეში ამა თუ იმ იმედების ჩანერგვით გულში, მაგრამ ამავე დროს ლოღიკის მარტივ კანონებსაც არ უნდა დავიწყება, თორემ უბრალო მკითხველიც კი გაიგებს აზრის სიყალბე-სიმახინჯეს. ყველასთვის აშკარაა, რომ ომი ისეთი უბედურებაა, რომელიც ანადგურებს ხალხს ფიზიკურად და ეკონომიურად. ოთხი წლის უმაგალითო იმპერიალისტურმა ომმა გადასცა ბალშევიკებს რუსეთი ცარიელი საწყობებით, დანგრეული ქარხნებით და მოშლილი ტრანსპორტით. სამოქალაქო ომის დროს, როდესაც საწყობები უფრო ცარიელდება, სახლები ინგრევა, ქარხნები თავისი პირდაპირი დანიშნულების ნაცვლად თოფ-ზარბაზნებს ამზადებს, ტრანსპორტი უფრო მეტად იშლება და ნაცვლად იმისა, რომ ემსახუროს მცხოვრებთ, ზიდოს სურსათ-სანოვაგე პურიანი ადგილებიდან დამშეულ გუბერნიებში, ეზიდება ფრონტისკენ ჯარს, პურს, ზარბაზან—ყუმბარებს მუშებს იმის ნაცვლად რომ ქსოვონ ფართალი, ან სჭედონ მიწის სამუშაო იარაღები გლეხებისათვის, გლეხებს, იმის ნაცვლად, რომ მართონ გუთანი და მოიყვანონ პური, როგორც თავისთვის, ისე ქალაქის მუშებისთვის, რომ სამაგიეროთ მიიღონ მათგან ფართალი და მიწის სამუშაო იარაღები-ხელში უკავიათ თოფი და ათი ათასობით იხოცებიან. თუ ამ დროს საბჭოთა მთავრობა წესწყობილების სისტემის და ამით მშრომელთა ენერგიის გაათკეცების წყალობით საკმაოთ ამოძრავებს ქარხნებსაც, ადგენს ტრანსპორტსაც, აწვდის პურს მუშებს და ქარხნის ნაწარმოებს გლეხებს ისე იაფად, როგორც არცერთი ბურჟუაზიულ სახელმწიფოში (თუ გინდ საქართველოშიც) რომელმაც განიცადა ოთხი წლის ყაჩაღური ომის საშინელება; თუ ამ უბედურების დროს რუსეთის მშრომელი მასსა იმდენად კმაყოფილია ბალშევიზმით, რომ მის დასაცავათ არავითარ მსხვერპლს არ ერიდება, ცხადზე უცხადესია ის, რომ, როდესაც მოისპობა ამ უბედურების მიზეზი-სამოქალაქო ომი, ცხოვრება ჩადგება ნორმალურ კალაპოტში, რასაც შედეგად უთუოთ მოყვება რუსეთის ყოველმხრივი აღორძინება და სიმდიდრის შექმნა-დაგროვება, რაც შეიძლება ეკუთნოდეს მარტო მშრომელებს, სრული ულოღიკობა იქმნებოდა იმისი თქმა, რომ სწორედ ამ დროს დამარცხდება ბალშევიზმი. გამოტყდით მაინც ბ. მენშევიკებო, და სთქვით პირდაპირ, რომ თქვენ იძულებული ხართ დაუშვათ ამგვარი ულოღიკობა, სისულელე იმიტომ, რომ თქვენ გძულთ ბალშევიზმი და ვერ ინელებთ მას, როგორც თქვენს მესაფლავეს.

ს. მ—ლია.

# ორვარი სიკვდილი

ტანჯულ კაცობრიობის ყველა ისტორიულ ხანაში თვითეული ჭეშმარიტი რევოლიუციონერი გამსჭვალულია ერთი საკაცობრიო იდეით, მისწრაფებით, იდეალით. ამ იდეალისათვის ბრძოლა შეადგენს მისი მატარებლისათვის ცხოვრების მიზანს. ამ იდეალისათვის ბრძოლა შეადგენს მთელი მისი არსებისათვის ერთად ერთ სანატრელ საგანს, მისი სულიერზნეობრივ-ფიზიკურ ჯავლა-დიდებას, მის კვინტესენციას. ამ იდეალისათვის ბრძოლა, ამ ბრძოლაში სიკვდილი, ან გამარჯვება შეადგენს რევოლიუციონერისათვის უმაღლესს ბედნიერებას, სხვებისთვის, მეშჩანებისთვის ყოვლად წარმოუდგენელ და მით უფრო,—მიუწდომელ ნეტარებას. ეს სიკვდილის აჩრდილი მუდამ თვალწინ უდგას რევოლიუციონერს, მარა ეს მას სრულიად არ აშინებს, სრულიად არ აფიქრებს, ოდნავ უკან არ ახევინებს, ნებისყოფას ვერ უდუნებს,—ის მუდამ მიდის წინ სტიქიური უძლეველობით, შეუჩერებლივ მიისწრაფვის ერთხელ არჩეულ, შეთვისებულ და შესისხორცებულ იდეალისაკენ. მისი შეჩერება ამ იდეურ ბრძოლაში შეუძლებელია, ვით პლანეტების ტრიალი მსოფლიოს სივრცეში. მისი შეჩერება შეუძლია მხოლოთ სიკვდილს. მარა რევოლიუციონერთან ერთად არ კვდება მისი იდეა, მისი იდეალი: იდეისათვის თავდადებულის ადგილს იჭერენ ათეული, ასეული და ათასეული სხვა რევოლიუციონერები, რომლებიც განაგრძობენ შეუპოვარ და თავგანწირულ ბრძოლას იმავე იდეის, იმავე იდეალის განსახორციელებლად. ამნაირად, იდეა, იდეალი უკვდავია და, მაშასადამე, უკვდავია ყველა თავდადებული რევოლიუციონეოის სახელიც.

უდიდესი იდეალი ვაცობრიობის ისტორიაში—კომუნისტური იდეალია. უდიდესი რევოლიუციონერები მსოფლიო ისტორიაში—თანამედროვე კომუნისტებია.

რევოლიუციონერი დახასიათდება ორი მხრით: იდეალით და ენტუზიაზმით (აღფრთოვანება-თავგანწირულება - გატაცება). იდეალის შინაარსის მხრით თანამედროვე კომუნისტებს ვერც ერთი ისტორიული ეპოქის რევოლიუციონერები ვერ შეედრებიან. კომუნისტური იდეალი (კომუნიზმი) მთელი კაცობრიობის გამაბედნიერებელი იდეალია. კომუნიზმი დამყარებულია ისტორიულ მეცნიერებაზე. მაშასადამე მისი განხორციელება აუცილებელია. ამით ეს იდეალი უაღრესად განსხვავდება ყველა ეპოქის უდიდეს უტოპიურ (განუხორციელებელ, ოცნებრივ) იდეალებისაგან. მხოლოთ ენტუზიაზმით, განუსაზღვრელი თავგანწირვით და შეუპოვარი ფანატიზმით თანამედროვე კომუნისტებს რამოდენიმეთ მოგვაგონებენ ძველი ქრისტიანები და საფრანგეთის დიდი რევოლიუციის რევოლიუციონერები და პარიზის კომუნის გმირები. თანამედროვე კომუნიზმი კიდევ მით არის შესანიშნავი, რომ მის სამსხვერპლოზე თავს სწირავენ არა მხოლოდ ერთეულები, არამედ ათეულები, თუ გინდ ასეულები და ათასეულები, არა მხოლოდ „რჩეულნი“, არამედ „უბრალონიც“.

რევოლიუციონური იდეისათვის სიკვდილი ორგვარია: არის სიკვდილი ბრძოლის ველზე, ბარიკატებზე—გააფთირებულ—გაალმასებულ სამოქალაქო ომის დროს, სიკვდილი წითელი, კომუნისტური დროშით ხელში. ასეთ სიკვდილს შეუდარებელი გმირობით ეგებება ყოველი ჭეშმარიტი კომუნისტი. იგი კვდება სხვებისათვის მიუწდომელ სიამით. უკანასკნელ ჟამს, სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარზე, სულთ მობრძავი კომუნისტის ათრთოლებულნი ბაგენი უმაღლეს,

გ. ზინოვიევი.

# პარტია და პროფესიონალური კავშირები.

(დასასრული იხ. № 17.)

### 12. პროფესიონალური კავშირები და შრომის ბეგარა.

შრომის ბეგარის შემოღება ახალ ამოცანებს უყენებს ჩვენს პროფესიონალურ კავშირებს.

მოქალაქეობრივი ომის და დიქტატურის ხანაში, პროფესიონალური კავშირები არა ერთხელ იძულებული იყვნენ რუსეთში იძულებითა ზომები ეხმარათ თავის წევრების მიმართ. პროფესიონალური კავშირები ახდენდენ თავის წევრების სავალდებულო მობილიზაციას ფრონტზე გასაგზავნათ, ან სასურსათო რაზმებისათვის და სხვ. პროფესიონალური კავშირები აკავებდენ თავის წევრებს ამა თუ იმ ადგილზე და თავისუფლათ გადასვლის ნებას არ აძლევდენ. ყოველისფერი ეს საჭირო იყო მუშათა კლასის მოსისხლე მტრების დასაძლევათ.

დღეს, როდესაც ჩვენ გადავდივართ დანგრეული მეურნეობის აღორძინებისათვის ბრძოლაზე, პროფესიონალურ კავშირებს ედებათ მოვალეობა კიდევ უფრო ენერგიულათ აწარმოვონ იძულებითი ზომები სიმშილისა და სიცივისაგან ქვეყნის საშველათ.

პროფესიონალურ კავშირებში ამ კითხვის შესახებ, შემჩნეული რყევის წინაამდეგ პარტია გადაჭრით უნდა გამოვიდეს, რადგან ამ სფეროში სულ ცოტა რყევასაც კი შეუძლია დაღუპოს პროლეტარული რევოლიუცია.

შრომის არმიის შექმნა იყო პირველი სერიოზული ნაბიჯი, გადადგმული საყოველთაო შრომის ბეგარის შემოღებისაკენ და ეს—შრომის მილიტარიზაციის ფორმით პირველ ხანებში.

შრომის არმიაზე გადასვლით ერთნაირი ტრედიუნიონისტური მიდრეკილება შეიქმნა.

ტრედიუნიონიზმი იღებს სხვა და სხვა ნაირ ფორმებს. ტრედიუნიონიზმი გამოიხატება ლიბერალური „მუშათა“ პოლიტიკის მხარის დაჭერაში პარლამენტებში, არა ნასწავლი და დახელოვნებული მუშებისადმი უყურადღებობაში, მუშათა არისტოკრატიის შექმნაში, არა ჩვეულებრივათ მაღალი საწევრო გადასახადების შემოღებაში, რომელიც უსპობს მუშებს კავშირებში შესვლის საშვალებას; ის გამოიხატება აგრეთვე ილიუზიების გავრცელებაში იმის შესახებ, რომ თითქოს მარტო პროფესიონალურ-ეკონომიური ბრძოლით შეიძლებოდეს პროლეტარიატის მიერ რევოლიუციონური ძალა-უფლების დაპყრობლათ სოციალიზმის სამეფოში თანდათან გადასვლა და სხვ. ყოველივე ეს არის ყველაზე უფრო შაალონური გამოხატულება ტრედიუნიონისტური მეშჩანობის. ხოლო იგივე მეშჩანობა არის თანამედროვე რუსეთში „შრომის თავისუფლების“ ქადაგება. იმავე ტრედიუნიონიზმს წარმოადგენს შრომის არმიის და, საზოგადოთ, შრომის მილიტარიზაციის არა საკმაო დაფასება. იგივე ტრედიუნიონისტური სიბეცე იქნებოდა პროფესიონალური კავშირების მხრით უარი ეთქვათ რკინის ხელით საყოველთაო შრომის ბეგარის გატარებაზე, ურომლისოთაც შეუძლებელია ახლანდელი დანგრეული მეურნეობის აღდგენა და კომუნიზმის აშენება.

რუსეთის კომუნისტურ პარტიას ღრმათ სწამს, რომ ამ რყევას ჰქონდა სწრაფ გარდამავალი სახე, დამახასიათებელი ახალი ხანისთვის, პროლეტარიატის დიქტატურის ახალ მიზნების განხორციელებაზე გადასვლის დროისთვის. ხოლო იქ კი, სადაც ეს რყევა კიდევ არ დათავებულა, პარტიამ თავისი გადამწყვეტი სიტყვა უნდა სთქვას.

### 13. თანამედროვე პროფესიონალური კავშირების უმთავრესი ნაკლი.

თანამედროვე პროფესიონალური კავშირები ეწევიან კოლოსალურ მუშაობას და უაღრესათ უადვილებენ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას სოციალიზმსათვის ბრძოლას. მარა ამასთან ერთათ პროფესიონალურ კავშირებს ემჩნევათ ამ გარდამავალ ხანაში მნიშვნელოვანი ნაკლი. როდესაც მაგალითად დამტვირთველთა კავშირის ზოგი მოღვაწეები ვოლგაზე იცავენ ვიწრო ეგოისტურ მოთხოვნილებს თავის წევრებისთვის სამუშაო ქირის შესახებ და არ ეხმარებიან საბჭოთა მთავრობას არაჩვეულებრივი ბოროტმოქმედების წინაამდეგ ბრძოლაში, ამით ისინი ააშკარავებენ თავის ჩამოქვეითებას, თავის უუნარობას დადგენ ვიწრო ცეხურ ინტერესების მაღლა, როდესაც ზოგიერთი მოსამსახურეთა—კავშირები თავზე ახვევენ საბჭოთა დაწესებულებებს ისეთ პირებს, რომლებსაც არ შეუძლიათ შეასრულონ თავისი საქმე; როდესაც ეს კავშირები იცავენ თავის წევრების ყოველგვარ მოთხოვნილებებს და ივიწყებენ, რომ დღეს მათ საქმე აქვს არა ძველ კერძო მწარმოებლებთან, არამედ მუშათა სახელმწიფოსთან—ამით ისინი იჩენენ თავის პროფესიონალურ სივიწროვეს. როდესაც ბეჭდვითი სიტყვის მომუშავეთა კავშირი ტრედიუნიონიზმის ყველაზე უფრო უარყოფით მხარეებს იჩენს, ამით აშკარა კონტრ-რევოლიუციონურ საქმეს აკეთებს.

ბრძოლა პროფესიონალური მოძრაობის ამ უარყოფით მხარეების წინაამდეგ არის ერთი უმნიშვნელოვანესი და ნიშნულებათაგანი ამ მოძრაობაში მომუშავე კომუნისტებისათვის.

მასთან ერთათ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თვით პროფესიონალური კავშირები დგანან ერთნაირ საშიშროების წინაშე მათი ბიუროკრატიზაციის გამო.

კავშირების საზოგადო კრებებს ესწრება წევრების მხოლოთ უმნიშვნელო ნაწილი. აქტიურ მონაწილეობას მათში იღებენ შედარებით ცოტანი. გამგეობას არა აქვს საკმაოთ ცოცხალი კავშირი მასასთან და ეკონომიური კონფლიქტები ხშირათ კავშირების გავლენის არეშე ტარდებიან.

[illegible] შემთხვევები, როდესაც არა დახელოვნებული [illegible] ცალკე ჯგუ[illegible] ხო[illegible] ფების ტარიფები ძალიან [illegible] ლო კავშირები კი ზომებს არ იღებენ ამ მდგომარეობის შესაცვლელათ, რადგან მათ არა აქვთ მჭიდრო ორგანიზაციული კავშირი მუშების ამ ჯგუფებთან.

სცნობს რა ყრილობა, რომ ეს ნაკლი აიხსნებოდა ამდენ ხანს არაჩვეულებრივი მძიმე გარეშე პირობებით, (მუდმივ მობილიზაციები პროფესიონალური მუშაკების ფრონტისათვის და სხ.) დღეიდან ავალებს პროფესიონალურ კავშირებში მომუშავე კომუნისტებს აწარმოვონ სისტემატიური ბრძოლა ასეთი მიდრეკილების წინაამდეგ.

### 14. სინდიკალიზმის სახარგებლოთ დათობის შესახებ.

მის წინადროის სინდიკილისტების ხელმძღვანელებმა (საყოველთაო შრომის კონფედერაციის ბელადები საფრანგეთში) 1914 წელს ისევე სასირცხვოთ გაჰყიდეს მუშათა საქმე, როგორც სოციალ შოვინისტებმა. ჟუო და კომპ. გამოდგა ჩვეულებრივი წვრილ ბურჟუაზიული რეფორმისტი.

სინდიკალიზმის მემარცხენე ფრთა განიცდის დიდ ევოლიუციას კომუნიზმისაკენ.

მაშინ როდესაც საფრანგეთის სინდიკალიზმის საუკეთესო ელემენტები თავს აღწევენ ძველ შეცდომებს, დგებიან კომუნიზმის ნიადაგზე და აყენებენ მოთხოვნას: „მთელი ძალა-უფლება საბჭოებსო“.—რუსეთში პატარ-პატარა ჯგუფებს სურთ აღადგინონ სინდიკალიზმის ცუდი მხარეები. მემარცხენე ესერების პარტიამ, თავის სიეზდზე მუშათა პოლიტიკის შესახებ გამოტანილ რეზოლიუციაში დაადგინა, რომ მის მოთხოვნილებებს შეადგენს: „მრეწველობისა და ტრანსპორტის სრული მმართველობის გადაცემა პროფესიონალური კავშირებისხელში მათი სრულიად რუსეთის პროფესიონალური საბჭოს სახით (რეზოლიუციის მე-3 მუხლი); მსოფლიო პროფესიონალურ ორგანიზაციაში შესვლა ფედერატიულ საფუძვლებზე იმ მიზნით, რომ სინდიკალურ-პროფესიონალურმა კავშირებმა ამ მსოფლიო რევოლიუციის პროცესშივე მოახერხონ მთელი ქვეყნის მრეწველობის და ტრანსპორტის მმართველობის საქმის თავის ხელში აღება (იხ. ბროშურა; „რეზოლიუციები მემარცხენე ესერების პარტიის მეორე სიეზდზე მიღებული. გამოცემა „რევოლიუციონური სოციალიზმისა“ მოსკოვი 1919 წ.)

როდესაც ამერიკაში ან ინგლისში ძველი ტრედიუნიონიზმის ან ოფიციალური სოციალდემოკრატიის წინაამდეგ წამოყენებულია ლოზუნგი: „მთელი ძალა უფლება კავშირებსო„ და ქადაგებენ ერთი დიდი კავშირის შექმნის გეგმას, უდიდესი კავშირების სამთა შეთანხმებას და სხ.—ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი მეორე ინტერნაციონალის ოპორტიუნისტულ თვალსაზრისთან შედარებით. მარა, როდესაც რუსეთში, სადაც ორ წელიწად ნახევარია რაც ძალა-უფლება მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელშია და სადაც გამოცდილებამ ნათლათ დაამტკიცა, რომ მხოლოთ რკინის დიქტატურას საბჭოთა ფორმაში და მთელი სახელმწიფოს მასშტაბში, შეუძლია შეინარჩუნოს ძალაუფლება, მოიგერიოს ყველა იერიშები და ქვეყანა გადაარჩინოს ნგრევისაგან, —როდესაც რუსეთში იბადება გეგმები იმის შესახებ, რომ რკინის გზები გადაეცეს რკინისგზელთა კავშირს, ლითონის მრეწველობა—ლითონზე მომუშავეთ და სხვ.—ეს არის დიდი ნაბიჯი უკანგადადგმული. საწარმოვო კავშირების მიზან დანიშნულება დღევანდელ საბჭოთა რუსეთში სისწრაფითაა დახასიათებული რუსეთის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, რომელმაც მიუთითა იმაზე, რომ კავშირების მოვალეობა არის, უზრუნველჰყონ „შეუწყვეტელი კავშირი სახელმწიფოს ცენტრალურ მმართველობასა, სახალხო მეურნეობას და მშრომელთა ფართო მასებს შორისო“, რომ მოხდეს მთელი სახალხო მეურნეობის სრული მმართველობის მათ ხელში გადასვლა, როგორც შედეგი კომუნიზმის სრული გამარჯვების შემდეგი თანდათანი, ხანგრძლივი განვითარებისა.

პროფესიონალურ კავშირებში მომუშავე [illegible]მუნისტების მოვალეობაა აწარ-

ციურ ნეტარებას გამოხატავენ, როგორც თვით იდეა, ისე გმირულად სიკვდილი ამ იდეისათვის ბრძოლის ველზე, სოციალური კატასტროფის დროს, ულმობელ კლასთა ჭიდილის ხანაში, სიკვდილი იმ დროს, როცა (სიტყვიერი) კრიტიკის იარაღი ადგილს უთმობს კრიტიკას იარაღის საშუალებით, სიკვდილი იმ დროს, როცა მარჯვეთ მოქნეული მახვილი და სისწორით ხმარებული ვინტოვკა სამუდამოთ სწყვეტს მსოფლიო ამოცანებს,—ასეთი სიკვდილი სანატრელი იდეალია რევოლიუციონერისათვის. ასეთი ბოლო კარგად გათვალისწინებული აქვს ყოველ თანამედროვე კომუნისტს, რომელსაც საკმაოთ შეუთვისებია თავისი როლი დღევანდელ დაუდგრომელ, რღვევა-შენების ხანაში. როცა იგი წითელი ბრძოლის აბობოქრებულ ტალღებში ეშვება, მან კარგად იცის, რა მოელის მას: სიკვდილი ან გამარჯვება, უფრო კი სიკვდილი, ვიდრე გამარჯვება (და გადარჩენა). და ეს მანამ, სანამ მტერი სრულიად არ შეიმუსრება, დაითრგუნება და განადგურდება.

მარა არის სხვაგვარი სიკედილიც, წარმოადგენს თვითმკვლელობის ერთგვარ ფორმას. ეს არის სიკვდილი საკანში, შიმშილობით გამოწვეული, სიკვდილი ტყვე კომუნისტის, სიკვდილი გულ-ხელ დაკრეფილი, სიკვდილი ოთხ კედელს შუა, რკინის ხლართებით შებოჭვილ-შეხუთული, როცა სასიკვდილოთ განწირული, მოწყვეტილი ცოცხალ ქვეყანას,—უცქერს მხოლოთ (სანამ თვალთ არ დაუბნელდება) შორს და მაღლა ცის ნაჭერს, უხმოთ ემუსაიფება მხოლოთ ამ ერთ ნამცეცს განუსაზღვრელი და ლაღი ბუნებისას, ხედავს და გრძნობს, თუ როგორი სწრაფი და მალი თანდათანობით, საათობით, წუთობით და წამობით დნება-იფერფლება მისი სხეული, საკაცობრიო იდეით გასხივოსნებულ-გაშუქებული, ხედავს და გრძნობს, როგორ ულმობელობით უახლოვდება მას სიკვდილის შავი აჩრდილი, რომელსაც მან უხმო და რომლისაც მას სრულიად არ ეშინია... აქაც რევოლიუციონერი კვდება შეგნებულათ, თავის ნებით. მარა ეს თვითმკვლელობა—პირდაპირი მკვლელობაა ტირანიის მიერ გამოწვეული და ჩადენილი. ჭეშმარიტი რევოლიუციონერები არა ერთხელ მიმართავდენ ბრძოლის ამ საშინელ საშვალებას—შიმშილობას, მაგალითად მეფის თვითმპყრობელობის დროს. ეს იყო ბურჟუაზიულ-ფეოდალურ, თუ ფეოდალურ-ბურჟუაზიულ ხანაში. ჩვენს კურთხეულ საქართველოში იგივე მოხდა: აქაც იგივე ტირანია, ტირანია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ჰობოქრობს, რომელიც აიძულებს ტყვე კომუნისტს—მიმართოს მისთვის ერთად-ერთ და აუცილებელ პროტესტს— თვითმკვლელობა-სიმშილობას.

პროლეტარული ერთობის შემბილწველ გაზეთ „ერთობას" გონია, რომ რევოლიუციონერის ასეთი საქციელი „უაზრო მსხვერპლია". მარა როდის იყო, რომ მეშჩანები კვერს უკრავდენ იდეისთვის თავგანწირვის რომელიმე ფორმას? არასოდეს. ნამდვილად კი, ასეთ სიკვდილს უაღრესი რევოლიუციონური მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ასეთ პროტესტს (შიმშილობა—პროტესტის უდიდესი, უმწვერვალესი ფორმაა) პირდაპირი, ასე ვთქვათ, ხელშესახები შედეგები იმწამსვე არ მოყვეს, მარა ეს არაა უმთავრესი და პირველხარისხოვანი მოტივი, დედა-აზრი შიმშილობის, რევოლიუციონერის შიმშილობის. ამ დედააზრს ვერ ხედავს საბრალო „ერთობა", ისე, როგორც გორკის ძლოკივი (уж) ვერ ხედავს შევარდენის მიუწდომელ ცის სივრცეში ფრენა ნავარდს და ვერ ურიგდება მის, განკითხვის ჟამსაც, თავგანწირულ ბრძოლას და ისევ ცისკენ ლტოლვას. მით უარესი მენშევიკებისათვის. ჩვენთვის კი (ე. ი. მათთვის), ვინც პირადათ ძა არა ერთხელ განიცადა ეს, როგორც რომანოვების, ისე მენშევიკების ტირანიის დროს ნათელია, როგორც მზე, ის, რომ რევოლიუციონური ბრძოლის და თავგანწირვის ყველა ფორმებზე მაღლა დგას—შიმშილით სიკვდილი. დიდი გრძნობაა კომუნისტის სიკვდილი ბრძოლის ველზე, მარა უდიდესი გმირობაა კომუნისტის შიმშილით სიკვდილი ტირანების მიერ აგებულ საკანში.

**თავის მტერი.**

---

მოვონ სასტიკი ბრძოლა ასეთი სინდიკალისტური მიდრეკილებების წინააღმდეგ და არასფერი მათ არ დაუთმონ.

**15. ეგრეთ წოდებულ ინდუსტრიალიზმის შესახებ.**

ამასთან ერთათ აუცილებლად საჭიროა წინააღმდეგობა გაეწიოს ეგრედ წოდებულ ინდუსტრიალიზმის მიდრეკილებებს, რომლებსაც იცავენ რუსეთის პროფესიონალური მოძრაობის ზოგი წარმომადგენლები. ინდუსტრიალისტების სურვილია, მთელი ჩვენი მუშაობა დაამყარონ ინდუსტრიალურ-სამრეწველო მუშებზე და მედიდურათ ექცევიან არა დახელოვნებული პროლეტარიატის მთელ მასას. ომმა და რევოლიუციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა თვით რუსეთის მუშათა კლასის სოციალურ შემადგენელობაში. ეს სიმართლეა, რომ ეხლანდელი ფაბრიკა, ქარხნების დახელოვნებული მუშები შეადგენენ, ეჭვს გარეშეა, პროლეტარიატის ყველაზე უფრო განვითარებულ ნაწილს; მარა პროფესიონალურ კავშირებში მოქმედ კომუნისტ-მუშების მოვალეობას სრულიადაც არ შეადგენს ის რომ გამოჰყონ და განსაკუთრებულ ჯგუფებათ დარაზმონ ხელობაში ნასწავლი მუშები, რომლებიც მუშათა კლასის უმცირესობას შეადგენენ. კომუნიზმის იდეას არასფერი საერთო არა აქვს მუშათა არისტოკრატიაზე დაყრდნობის პოლიტიკასთან. პროფესიონალურ ქავშირებში მყოფ კომუნისტ-მუშების მოვალეობაა, სამრეწველო მუშების მოწინავე ნაწილის დახმარებით შეაკავშირონ და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობითი მუშაობაში ჩაითრიონ მთელი პროლეტარული მასსა, მათ შორის „უბრალო" მუშებიც.

**16 პროფესიონალური კავშირები და ინტერნაციონალი.**

გერმანიის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ პროფესიონალური კავშირების წევრთა რიცხვი რევოლიუციის შემდეგ არაჩვეულებრივათ იზრდება (3 მილიონიდან 8 მილიონამდე) და კავშირებიც რევოლიუციონური ხდებიან. რუსეთის მაგალითი გვიჩვენებს, რომ კავშირები არიან საბჭოების კარგი დამხმარე, რადგან ისინი შეადგენენ ერთ უმთავრეს ორგანიზაციულ ბაზათაგანს მეურნეობის კომუნისტურ საფუძვლებზე მოსაწყობათ. გერმანიის კომუნისტების ნაწილი, რომელიც ოპოზიციაში უდგია პარტიას კავშირების საკითხში (კომუნისტების ეს ნაწილი მოითხოვს კავშირებისაგან მასსიურ გამოსვლას, უარს ამბობენ კავშირებში გავლენის მოპოებისათვის ბრძოლაზე, არსებითად არ სცნობენ კავშირების საჭიროებას) დიდ შეცდომას სჩადიან და ეთიშებიან პროლეტარიატის მასსიურ ორგანიზაციას.

ევროპაში მუშათა მოძრაობის განვითარების თავისებურობის გამო, გერმანიისა და სხვა ქვეყნების კომუნისტებში არსებობს უნდობლობა პროფესიონალური კავშირების, როგორც ასეთების მიმართ. ჩვენი პარტია ადგია იმ აზრს, რომ პროფესიონალური კავშირების უარყოფა ჩვენთვის შეუძლებელია. პროლეტარული რევოლიუციის პროცესში პროფესიონალური კავშირები ისევე გაიყოფიან, როგორც ეს ძველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს დაემართათ. გერმანიის პროფესიონალური მოძრაობის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ბერლინში უკვე ახლავე განთავისუფლდენ პროფესიონალური კავშირები შეიდემანის სოციალ-დემოკრატიის გამრყვნელი გავლენისაგან. რუსეთის პროფესიონალურმა მოძრაობამ უნდა ითავოს პროფესიონალური კავშირების წითელი ინტერნაციონალის შექმნა ისე როგორც რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ მოიმოქმედა ეს მესამე ინტერნაციონალის შექმნით.

კომუნისტური ინტერნაციონალის სიეზდებზე მონაწილეობა უნდა მიიღონ არა მარტო კომუნისტების პარტიულმა ორგანიზაციებმა, არამედ იმ პროფესიონალურმა კავშირებმაც, რომლებმაც მთელი თავისი მუშაობით დაგვიმტკიცეს, რომ ისინი დგანან პროლეტარიატის დიქტატურის და საბჭოთა ძალა უფლების ნიადაგზე. მასთან ერთად საჭიროა უკვე ახლავე შევუდგეთ შეკავშირებას იმ პროფესიონალური კავშირებისას, რომლებიც დგანან კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმაზე.

---

აკოპ აკოპიანი

## ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘᲡᲐᲡ.

(სომხურიდან).

რკინა ნაჭედო ჩემო ქარხანავ!
ვეახლე კვლავ შენს უპიავარ კედლებს,
მით სიყვარული გულში მინერგეს,
მჩქეფარე სისხლით მივსებდენ ძარღვებს!

——

როცა ზღურბელსა გადმოვაბიჯე,
სალამი მიძღვნა ალტაცებითა
მუდამ ფხიზელმა შენმა საყვირმა,—
და მანქანებმა—ხმაურიობითა!

——

და ვით მდინარის გიჟი ტალღები
ჩოჩქოლ—დავობდენ ისე დაზგები,
ღვედთა სრიალში სანგის*) ქუხილში,
ისმოდა ხმები, მჭექარე ხმები:

——

„მე არ დივლილვარ! მე არ
დავლილვარ!
და კრიმანჭულით მათ წერა-ქვებით
წკარუნ-წკრიალით უხმატკბილებდენ,
ვით მოჭიკჭიკე იადონები.

——

მე მომეშხეფა ალის წინწკლები,
ქურაში ნაშობ ძალა ნააპერწკლის—
აი ვინ არის ახლ ჰანგზედა
მუნ მგალობელი ახალ ცხოვრების.

**სანდრო ეული.**

*) ოთქლის მანქანა-ურო.

---

# ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

**რუსულ-ქართული კომისია სამხედრო გარანტიების შესახებ.** რუსულ-ქართულმა შერეულმა კომისიამ სამხედრო გარანტიების შესახებ მერვე და მეცხრე სხდომაზე განიხილა რეზოლიუციის ის პროექტები, რომელიც წამოაყენა ორივე მხარემ საქართველოს და რუსეთის შორის დადებულ ხელშეკრულების მეხუთე მუხლის შესახებ. ქართულ კომისიის თავმჯდომარე ს. მდივანი სადავო საკითხის შესახებ, რომელიც ეხებოდა მაისის 7 მდე სხვა და სხვა დროს საქართველოს განკარგულებაში გადმოსულ მოხალისეთა სემხედრო და სამხედრო საზღვაო ქონებას, ამტკიცებდა, რომ საქართველოს დელეგაციის აზრით მაისის 7 ხელშეკრულება გარკვევით სწყვეტს იმ სამხედრო ქონების საკითხს, რომელიც გადმოვიდა საქართველოს განკარგულებაში, როგორც ხელშეკრულების დადებამდე, ისე ხელშეკრულების დადების შემდეგ. მაგრამ იმ ფაქტის გამოსარკვევად, რომ ეს სამხედრო ქონება მართლა ეკუთვნის საქართველოს, როგორც ნადავლი თუ არა, უნდა განვიხილოთ აგრეთვე საკითხი საქართველოს ფაქტიურ მდგომარეობის შესახებ მოხალისეებთან ბრძოლაში, ვინაიდან, თუ დამტკიცდება, რომ პერმანენტური ომი არ ყოფილა, მაშინ, ცხადია, რომ სამხედრო ქონების საკითხის გადაწყვეტის დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ საერთაშორისო უფლების ნორმებით იმ შემთხვევაში, თუ ეს საკითხი მაისის 7 ხელშეკრულებაში არ ყოფილა განსაზღვრული. ეყრდნობა რა ამ მოსაზრებებს საქართველოს დელეგაცია, წინადადებას იძლევა მიიღონ შემდეგი დებულებანი: 1) თანახმად იმ პრინციპებისა, რომლებიც საერთაშორისო უფლებიდან გამომდინარეობს საქართველოს ხელში მყოფი მოხალისეთა მთელი სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ქონება, უნდა გადაცემოდა რუსეთის საბჭოთა მთავრობას იმ შემთხვევაში, მოხალისეთა მიმართ საქართველოს ფაქტიური ნეიტრალიტეტი რომ დაეცვა და რომ მაისის 7 ხელშეკრულებაში ეს არ ყოფილიყო განსაზღვრული. 2) ხელშეკრულლობის მეხუთე მუხლი ავალებს საქართველოს გადასცეს რუსეთის საბჭოთა მთავრობას მხოლოდ ის ქონება, რომელიც ჩამოერთმევა იმ ჯგუფებს და ორგანიზაციებს, რომლებიც ხელშეკრულობის დროს განუიარაღებელნი და დაუკავებელნი აღმოჩნდებიან. 3) საქართველოს მოხალისეთა ჯართან პერმანენტულ ომს აწარმოებდა. ამ ომის დროს ჩამოართვა საქართველომ მოხალისეთა ჯარს სამხედრო ქონება და ამიტომ იგი საქართველოსთვის სამხედრო ნადავლს წარმოადგენს. საქართველოს დელეგაცია ფიქრობს, რომ მოხალისეთა ქონება და ფულის ნიშნები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე მაისის 7-მდე იყო, საბჭოთა რუსეთს არ უნდა გადაეცეს. რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარე დ. რუსერი არ დაეთანხმა საქართველოს დელეგაციის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ საჭიროა დასახელება იმ მომენტისა, როდესაც ფაქტიურად არ იყო არც ომი და არც ნეიტრალიტეტი, არამედ იყო რაღაც მესამე, რასაც საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით არ შეიძლება დაერქვას არც ზავი, არც ომი და არც ნეიტრალიტეტი. ამიტომ რუსეთის დელეგაცია დაჟინებით მოითხოვს ამ მესამე მომენტის აღნიშნას იმ მიზნით, რომ მას დაუკავშიროთ მაისის 7 ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ყოველი შემთხვევა. შეეხო რა ამ თვალსაზრისით სამხედრო ქონების საკითხს, რუსეთის დელეგაციამ შემდეგი დებულებანი წაწამოაყენა: 1) მაისის 7 ხელშეკრულების მეხუთე მუხლი საქმრთველოს რესპუბლიკას ავალდებულებს გადასცეს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას ყველა ის სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ქონება, რომელსაც ჩამოართმევენ იმ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ხელშეკრულების დადების დროს და მის შემდეგ არ განუიარაღებიათ და არ დაუკავებიათ. 2) საერთაშორისო უფლებისაგან გამომდინარე პრინციპის ძალით მოხალისეთა მთელი სამხედრო - საზღვაო ქონება, რომელიც ჩაიბარა საქართველომ, იმ შემთხვევაში იქნებოდა საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკისათვის გადასაცემი, რომ საქართველოს მოხალისეთა მიმართ დაეცვა ფაქტიურათ სრული ნეიტრალიტეტი და რომ მაისის 7-ს ხელშეკრულებაში ზემოაღნიშნული საკითხი არ ყოფილიყო განსაზღვრული. 3) თუ დამტკიცდებოდა, რომ საქართველო მოხალისეებთან პერმანენტურ ომის განწყობილებაში იყო, მაშინ საქართველოს ხელში დაგროვილი მოხალისეთა მთელი ქონება დარჩებოდა საქართველოს, როგორც სამხედრო ნადავლი. 4) თუ არ დამტკიცდება, რომ საქართველო ასეთ დამოკიდებულებაში იყო მოხალისეებთან, მაშინ საქართველოს გამგებლობაში დარჩენილი მოხალისეთა ქონების ის ნაწილი, რომელიც მიიღო საქართველომ თავის ნეიტრალიტეტის დაცვისათვის ბრძოლის დროს როგორც სამხედრო ნადავლი შეიძლება დარჩეს მასვე, თუმცა საერთაშორისო უფლების ნორმები სრულებით არ გულისხმობს, რომ სახელმწიფოს, რომელიც თავის ნეიტრალიტეტს შეიარაღებული ძალით იცავს მებრძოლ სახელმწიფოსაგან, სრულ საკუთრებათ დარჩეს ამ სახელმწიფოსაგან ჩამორთმეული ქონება. 5) ყველა ზემოთმოყვანილი მოსაზრებით რუსეთის დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია შერეულ კომისიამ გამოიკვლიოს მართლა იყო თუ არა საქართველოს პერმანენტურ ომის დამოკიდებულებაში მოხალისეებთან, თუ იგი შეიარაღებულ ძალით ნეიტრალიტეტს იცავდა. შემდეგი კამათიდან გამოირკვა, რომ ორივე მხარე მზათ არის წავიდეს დათმობაზე. დასასრულ შემდეგ რეზოლიუცია მიიღეს: „შერეულმა რუსულ ქართულმა კომისიამ სამხედრო გარანტიების შესახებ შემდეგი დებულებები მიიღო: მაისის 7 ხელშეკრულობის მეხუთე მუხლი ვალდებულად ხდის საქართველოს გადასცეს საბჭოთა რუსეთს მხოლოდ ის სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ქონება, რომელსაც ჩამოართმევენ იმ ჯგუფებს და ორგანიზაციებს, რომლებიც ხელშეკრულების დადების დროს ან შემდეგ არ იქნენ განიარაღებული და დაკავებულნი, 2) თანახმად იმ პრინციპებისა, რომლებიც გამომდინარეობს საერთაშორისო უფლების ზოგად ნორმებიდან მოხალისეთა ჯარის მთელი სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ქონება, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის განკარგულებაში არის, მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გადასცემოდა რუსეთის საბჭოთა მთავრობას, საქართველოს რომ სრული ფაქტიური ნეიტრალიტეტი დაეცვა და ზემოაღნიშნული საკითხი რომ გარკვეულად აღნიშნული არ ყოფილიყო,—მაისის 7 ხელშეკრულობაში. 3) ამასთანავე თუ დამტკიცდება, რომ საქართველო მოხალისეთა ჯართან პერმანენტულ ომს აწარმოებდა, იმ შემთხვევაში მთელი სამხედრო ქონება, რომელიც საქართველოს ხელში გადავიდა ჩაითვლება ამ რესპუბლიკის სამხედრო ნადავლად და 4) იმ შემთხვევაში, თუ არ იქმნა დამტკიცებული სრული ნეიტრალიტეტი და პერმანენტული ომი, რომლებიც უარჰყოფს მე-2 და მე-3 პუნქტების სავსებით მიღებას) საქართველოს გამგეობლობაში დატოვება მოხალისეთა იმ სამხედრო ქონებისა, რომელიც საქართველომ თავის შეიარაღებულ ნეიტრალიტეტის დაცვის დროს ხელთ იგდო როგორც სამხედრო ნადავლი. დღევანდელ პირობებში სრულიად დასაშვებია, თუმცა საერთაშორისო უფლების ნორმებში ამის შესახებ არავითარი პირდაპირი ჩვენება არ არის. თანახმად ზემომოყვანილ მუხლებისა, კომისია სასურველად სცნობს განიხილოს ის დამოუკიდებლობა, რომელიც არსებობდა საქართველოსა და მოხალისეთა ჯარის სარდლობის შორის.

---

# ᲑᲘᲣᲚᲔᲢᲔᲜᲘ ᲞᲠᲔᲡᲑᲘᲣᲠᲝᲡᲘ

**რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.**

საზღვარ-გარედ

**აღმოსავლეთ-გალიციის დროებითი რევოლიუციონური კომიტეტი (რევკომი).**

**მოსკოვი,** 9 აგვისტო. აღმოსავლეთ გალიციაში დაარსდა დროებითი რევოლიუციონური კომიტეტი. გამოქვეყნებულია მანიფესტი, რომელიც აღიარებს მუშებისა და გლეხების უფლებებს იმ კითხვების გადაწყვეტაში, რომლებიც ეხება თვით მუშების და გლეხების ბედიღბალს. რევოლიუციონური კომიტეტი მოუწოდებს მუშებს და გლეხებს, ეროვნების მიუხედავად შემოკრბენ კომიტეტის. ირგვლივ და დაეხმარონ მას მთავრობის შედგენაში, მინამ იქნებოდეს მოწვეული საბჭოების პირველი ყრილობა. გალიციის (რევკომი) რევოლიუციონური კომიტეტი მოუწოდებს მუშებსა და გლეხებს დახმარება აღმოუჩინონ წითელ არმიას შლიახტის და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად. გალიციის რევოლიუციონური კომიტეტი აცხადებს აღმოსავლეთ გალიციის სრულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და სთხოვს ყველა სახელმწიფოებს დაიკავონ მასთან დიპლომატიური დამოკიდებულება. გალიციის რევოლიუციონური კომიტეტი აცხადებს თავის სოლიდარობას რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მიმართ და უკრაინის ს. ს. რესპუბლიკისადმი. მას იმედი აქვს, რომ ეს საბჭოთა რესპუბლიკები აღმოუჩენენ დახმარებას აღმოსავლეთ გალიციის საბჭოთა რესპუბლიკას ახალ, კომუნისტურ აღმშენებლობის საქმეში.

გალიციის რევოლიუციონური კომიტეტის შემადგენლობა: ვლადიმირ ზატონსკი (თავმჯდომარე), მიხაილო ბარანი, ხვედირ კონაზი, ივანე ნემოლოვსკი და კაზიმირ ლიტვინოვიჩი.

**გერმანიის ტერიტორიაზე სამხედრო მასალების გადაზიდვა.**

საფრანგეთის სოციალისტების გაზ. „უმანიტეში" მოთავსებული ერთი დოკუმენტი (13 ივლისიდან) ამტკიცებს, რომ გერმანიის ტერიტორიით პოლონეთისთვის გადააქვთ სამხედრო მასალები. ეს დოკუმენტი აღნიშნავს აგრეთვე, თუ როგორი საშუალებით ახერხებენ იარაღების გადატანას. ეს დოკუმენტი № 2295, ეკუთვის საფრანგეთის ფინანსთა სამინისტროს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სამხედრო მასალები, რომლებიც იგზავნება ინგლისიდან პოლონეთში ყალბი სახელწოდებით, („დასაშლელი სამხედრო მასალები") გადმოტვირთეს საფრანგეთის პორტ-ტრეპორში და შემდეგ გაგზავნილ იქნა 20 ვაგონიან განსაკუთრებულ მატარებლით, შემდეგ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სამხედრო სამინისტროში საჭირო ფორმალობის შესრულების შემდეგ, გაგზავნილი იქნება ეს მატარებელი პოლონეთში გერმანიის გზით.

**ბულონის კონფერენციის შედეგები.**

**ლონდონი,** 29 ივლისი. „ტანის" ცნობით ბულონის კონფერენციამ ორ შედეგს

მიაღწია: 1—გადაწყდა ეთხოვოს საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებს, როდესაც ისინი დაბრუნდებიან ლონდონში ინგლისის მთავრობასთან მოსალაპარაკებლათ, რომ პირველათ გამორკვეულ იქნას პოლონეთთან შეთანხმების პირობები. საფრანგეთის მთავრობა შესაფერ (თავისთვის) დროს შეუდგება საბჭოთა მთავრობასთან მოსალაპარაკებლათ. მეორეთ—ბულონის კონფერენციამ დაადგინა, რომ ის ავანსები, რომელიც უნდა იქნეს გაცემული მიემატება იმ გადასახადებს, რომელიც ვერსალის კონფერენციის დადგენილებით უნდა გადიხადოს გერმანიამ.

### დაშინსკის განცხადება.

**ნაუენი,** 2 აგვ. პოლონეთის მინისტრმა დაშინსკიმ განაცხადა: რომ პოლონეთმა უნდა ეცადოს არ აამხედროს თავის წინააღმდეგ გერმანელები, ჩეხები და რუსები. მეორე მხრივ საფრანგეთმა უნდა გაიგოს, რომ პოლონეთს არ სურს აღმოსავლეთ ევროპაში ითამაშოს ჟანდარმერიის როლი.

### ამხ. ბელა-კუნი.

**ბერლინი,** 28 ივლ. ამხ. ბელაკუნის შესახებ ბერლინიდან შემდეგს იტყობინებიან: როდესაც რუს-სამხედრო ტყვეებით დატვირთული მატარებელი, რომელშიც იმყოფებოდა ამხ. ბელაკუნი მოადგა გერმანიის საზღვარს, ტრანსპორტის თანამხლებელ ავსტრიის ოფიცერმა მოახსენა გერმანიის მთავრობას, რომ მათ ტრანსპორტით გადეცემა არა მარტო რუსა-სამხედრო ტყვეები, არამედ აქ არიან აგრეთვე ცნობილი სახელმწიფო დამნაშავენი, რომლებიც აქამდის იმალებოდენ ავსტრიაში. ამ მოხსენების შემდეგ გერმანიის მთავრობამ განკარგულება გასცა ტრანსპორტი გაეგზავნათ ისევ ავსტრიაში. ამის მიზეზათ გერმანიის მთავრობა ასახელებდა ანტანტასთან დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც უკრძალავს გერმანიას სატრანსპორტო საშუალებით ისარგებლოს გარდა სამხედრო ტყვეებისა სხვა ვინმე. როდესაც ავსტრიის მთავრობამ კატეგორიული უარი განაცხადა ტრანსპორტის უკან მიღებაზე, მაშინ გერმანიის მთავრობამ გაარჩია ტრანსპორტის შემადგენლობა და მათ რიცხვიდან გამოყო ამხ. ბელაკუნი. გერმანიის მთავრობა უყურებს ბელაკუნს, როგორც პოლიტიკურ დამნაშავეს, ამიტომ უნგრეთის მთავრობას უარით უპასუხა ბელაკუნის გადაცემაზე. გნრმანიის მუშებმა საპროტესტო დემონსტრაციები მოახდინეს უნგრეთის მთავრობის მოთხოვნაზე, რომ მისთვის გადაეცათ ბელაკუნი. საფიქრებელია, რომ გერმანიის მუშების დემონსტრაციამ აიძულა გერმანიის მთავრობა—უარი ეთქვა უნგრეთის მთავრობისათვის ბელაკუნის გადაცემაზე.

### ამხ. ბელაკუნის ჩამოსვლა

**პეტროგრადი,** 12 აგვ. პეტროგრადში მოვიდა უნგრეთის ყოფილი სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბელაკუნი.

### პროლეტარიატის სოლიდარობა

ინგლისის და საფრანგეთის სოციალისტური ორგანიზაციები შეთანხმდენ იმაში, რომ ერთად გამოვიდენ ანტანტის წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთთან ომი დაიწყო. ორივე მხარე საერთაშორისო გაფიცვების მზადებაშია. გაზ. „ფორვერტსი“ იუწყება, რომ ინგლისის მუშებს გადაუწყვეტია დააკავონ ლონდონში ყველა სამხედრო მასალები, თუ ინგლისი ჩაერია რუსეთ-პოლონეთის ომში.

## მოქალაქენო!

ქალაქში ხოლერამ უკვე იჩინა თავი. სამი გახდა ავათ. ორი მათგანი გარდაიცვალა. სამივე ადგილობრივი არიან, სხვა და სხვა უბნის მცხოვრებნი. ეს უკანასკნელი გარემოება, არსებული ცხელი ამინდები და ქალაქის ანტისანიტარული მდგომარეობა კარგს არას გვიქადის, შესაძლებელია ხოლერამ ფართე ხასიათი მიიღოს. ამიტომ ყოველ მოქალაქეს მართებს დიდი ყურადღებით და გაორკეცებული ენერგიით დაიცვას სათანადო სანიტარული წესები თავიანთ საცხოვრებელ ბინაზედ. ეს მოვალეობაცაა და ამავე დროს ერთად ერთი საშუალებაა, რომ თითოეულმა ჩვენგანმა თავი დაიცვას ამ საშინელ სენისაგან. უნდა გვახსოვდეს რომ ხოლერასაგან თავის დაცვა არც ისე ძნელია, მხოლოდ ავათ თუ გახდი—გადარჩენა კი მეტად საეჭვოა.

უდავოა, რომ ხოლერით ავათ გახდება ადამიანი მხოლოდ მაშინ, თუ კი მას საჭმელთან და სასმელთან ერთად ჩაყვება ხოლერის გამჩენი სნება. ეს კი შეიძლება მოხდეს თუ კი ხოლერიან ავადმყოფის მოვლის დროს გასვრილი ხელით ან გასვრილ ჭურჭელზედ მიიღეთ საჭმელი ან სასმელი; ან დალიეთ წყალი, რომელშიაც ხოლერის სნება უკვე იმყოფება; ან ხოლერიანი ავადმყოფის განავლით ან პირიდან ნაღებით გასვრილი ბუზების მიერ დასვრილი საჭმელ-სასმელი მიიღეთ.

მაშასადამე ზომებიც ამის და გვარად უნდა იქმნეს მიღებული:

ა) ხოლერით ავათმყოფთან ნუ მიხვალთ. თუ აუცილებლათ მოგიხდებათ მასთან ყოფნა, ეცადეთ არ გაისვაროთ, უკიდურესი სისუფთავე დაიცვით.

ბ) ბინაზედ და ეზოში დაიცავით სისუფთავე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ფეხისადგილებს, ნამეტურ ახდილ ფეხისადგილებს; ეს უკანასკნელი უნდა იქნეს მოყრილი კირით დღეში რამოდენიმეჯერ.

გ) უმი წყალი არ უნდა დალიოთ. მხოლოდ მოხარშული წყალი კარგათ უნდა შეინახოთ. ყოველ დღე ახლათ მოხარშული წყალი უნდა იხმაროთ.

დ) დაიცავით ყოველგვარი სასმელ-საჭმელი და ჭურჭლეულობა ბუზებისაგან.

ე) ნუ სჭამთ ხილს. ხილი ყველაზე უფრო ადვილათ ისვრება ბუზებისაგან და გასუფთავება მისი ერთობ ძნელია.

გარდა ამ ზომებისა არის კიდევ ერთი უებარი საშვალება, რომელიც დაგვიცავს ხოლერისაგან. ეს არის ხოლერის აცრა. ვინც აიცრის ხოლერას იგი უზრუნველყოფილია ხოლერიდან ექვსი თვის განმავლობაში მგზავსათ ყვავილის აცრისა, არ მოაქვს არავითარი ზიანი-ვნება.

მოქალაქენო, მიიღეთ ზემო დასახელებული საერთო სანიტარული ზომები და აგრეთვე აიცარით ხოლერა.

ხოლერის აცრა სწარმოებს უფასოდ ქალაქის ცენტრალურ სამკურნალოში (პუშკინის ქუჩა სალდათის ბაზარზედ) ან ავლაბარის ამბულატორიაში (კახეთის მოედანი) დილის 9 საათიდან 12 საათამდე.

მედიკო-სანიტარული ინსპექტორი
**მეუნარგია.**

# მუშათა ცხოვრება.

### მენშევიკების „მოღვაწეობა ქუთაისის ფ.-ტ. კანტორაში.

ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში არსებობს რაიონული ფ. ტ. მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი, რომლის გამგეობაშიაც შედიან მენშევიკები. არ იფიქროს არავინ ამით რომ, უმრავლესობას მოსამსახურეებისას შეადგენდენ მენშევიკები. საქმე შემდეგში იყო. მარტამდის გამგეობაში უმრავლესობას შეადგენდნენ ესერები, შემდეგ მენშევიკები და კომუნისტები, ეს ვერ მოინელეს მენშევიკების აგენტებმა და პირველი იერიში მიიტანეს გამგეობის წევრზე ყოფილ ფ.-ტ. მოხელე გრ. ვეგეჭკორზე (კომუნისტი), რომელიც სამსახურიდან დაითხოვეს და ციხეში მოათავსეს. ყოველ გამგეობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს მოსამსახურეების ეკონომიურ და უფლებრივ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ისინი ხელს უშლიდენ რათა შეებორკათ გამგეობა და ხელ-ფეხ შეკრული ხომ ვერას გააკეთებდა და ამით ისარგებლეს კიდეც. გაიძახოდენ მოსამსახურეებში, რომ მინამ გამგეობაში უმრავლესობა მენშევიკები არ იქნებიან, თქვენთვის არაფერი გაკეთდება. ამოგვირჩიეთ ჩვენ, მთავრობა ჩვენ ანგარიშს გაგვიწევს და გაგაბედნიერებთო. მოსამსახურეებმაც იფიქრეს, ამოვირჩიოთ ისინი, შეიძლება გამართლდეს მათი სიტყვები, თუმცა იმედი არ ქონდათ მათი დაპირებების და კიდეც გამართლდა ამ მხრივ მოსამსახურეების აზრი. მარტში გადადგა ახალი გამგეობა და მენშევიკები ახალი არჩევნებისათვის მოემზადენ. მოსთხოვეს ფედერალისტებს საარჩევნო სია გამოსაქვეყნებლად და თავისი სიაც გამოაკრეს. ამ დროს ესფერებმა განუცხადეს რომ ისინი არჩევნებში მონაწილეობას არ ღებულობენ და უცხადებენ ბოიკოტს. ეხლა რა ქნან? ერთი სია ხომ არ შეიძლება რომ იქნეს არჩევნებზე და ერთ ღამეს საიდგანაც დაბადეს უპარტიოთა სია და გამოაკრეს, მაგრამ ამ სიაში სულ ყველა მენშევიკები აღმოჩნდენ დროებით მონათლული უპარტიობათ. ამ რიგათ პირველ სიას მისცემდი ხმას, თუ მეორესს, ორივე მათი იყო. მთელ რაიონში ირიცხება 220 მოსამსახურე და აქედან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო დაახლოვებით 90 კაცმა. ისიც ძალ დატანებით ოთხი დღე მეტი იდგა ყუთი და კაცი არ ეკარებოდათ ❦ შემდეგ დაიწყეს თავისებური მუქარა და აგიტაცია, „რატომ ხმას არ გვაძლევთ პურს ვერ მიიღებთ და სხვა“.

მათ საუბედუროთ იმ დროს მწვავე ხასიათი ქონდა მიღებული ეკონომიური საკითხს თუმცა ეხლა უარესია‘ და რომ ახალ მენშევიკურ გამგეობას, დემსახურებია მოსამსახურეების ნდობა, მან მოიწვია გამგეობის სხდომა, გამოიმუშავეს დადგენილება ჯამაგირების მომატების შესახებ, შემდეგ დანიშნეს საზოგადო კრება, რომელზედაც მოიწვიეს დასავლეთ-საქართველოს ფ. ტ. მოსამსახურეების წარმომადგენლები, წარუდგინეს მთავრობას ულტიმატუმი ჯამაგირის მომატების შესახებ და თუ დანიშნულ ვადამდის არ იქნებოდენ მოსამსახურეები დაკმაყოფილებულნი ის მენშევიკები აცხადებდნენ გაფიცვას. მათ ეგონათ, რომ გაფიცვა არ დაჭირდებოდათ და თუ მაინც იმ ზომამდე საქმე მივიდოდა შამოუარდენ თავს, ეს მხოლოდ მოსამსახურეებისაგან ნდობისთვის უნდოდათ, მაგრამ მათთვის ჩარხი ისე არ დატრიალდა როგორც იმათ ეგონათ. ვინაიდან მთავრობიდან დანიშნულ ვადაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი არ მოვიდა, მოსამსახურეებმა მოითხოვეს დადგენილების სისრულეში მოყვანა, აირჩიეს გაფიცვის ბიურო, სადაც შევიდნენ თვით რასაკვირველია მენშევიკებიც, თუმც ერთმა სტოლზედაც კი დაკრა ფეხი და სთქვა რომ „მე თუ ამომირჩიეთ ბიუროში შიმშილით დაიხოცებით“ ო რა შუაში იყო ის ამხანაგი კ—ა და პურის მოწოდებას? ყოველივე მათმა ცდამ თითქმის უნაყოფოთ ჩაიარა. მხოლოდ ამ შემთხვევაში ხდება ის, რომ ქუთაისის ფ. ტ. კანტორის მენშევიკების „პელადები“ აცხადებენ გაფიცვას. აი რა თავზარ დამცემი იქნებოდა ეს მმართველი პარტიისათვის. მენშევიკებმ მენშევიკებს გაფიცვას უცხადებენ, რისთვისაც ალბათ დიდი საყვედურიც მიიღეს კაბინეტიდან, რომ მათ ფესვები ვერ გაიდგეს ქუთაისის კანტორაში. ეს საჭიროთ მიმაჩნდა გამეცნო მკითხველთათვის იმიტომ, რომ, როდესაც ესფერები და კომუნისტები იყვენ გამგეობაში და ულტიმატუმის წარდგენას დააპირებდენ ჯამაგირების მომატების შესახებ, ბატონი მენშევიკები გაიძახოდენ: „თქვენ ხართ რესპუბლიკის მოღალატენი, თქვენ ბალშევიკურ ტაქტიკას ადგიხართ, მთავრობას ფული არ აქვს, ბონები ვერ გააუმჯობესებს ჩვენს მდგომარეობას“ და სხვ.“

ისე დაშინდენ ამის შემდეგ, რომ ერთი კრებაც არ მოუწვევიათ. ეშინიანთ, რომ კიდევ გაფიცვა არ მოახდინონ მოსამსახურეებმა. თავიანთი კარიერა უკვე აღიმაღლეს. გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც გაიძახოდა, რატომ ხმას არ მაძლევთო, დაინიშნა კანტორის უფროსის თანაშემწეთ, მიტომ უნდა მიგვეცა ხმა, რომ ადმინისტრატორათ დამდგარიყო თუ კავშირში უნდა ემუშავა? ყოფილი თანაშემწის. მ. გვინჩიძის უბედურებაზე ააგო თავისი ბედნიერება; ასე უდანაშაულოთ არას დროს ნიკოლოზის რეჟიმის დროსაც არ მომხდარა ადამიანის დასჯა. და ეხლა კი საუბედუროთ ყველაფერი მოსალოდნელია. თუ მენშევიკს ადგილი უნდა და იქ სხვა პარტიის კაცია, მას დაითხოვენ, გადააყენებენ და მენშევიკს დანიშნავენ, მაგრამ როდემდის გინდათ ასე იმოქმედოთ?

ახლა რამდენიმე სიტყვა უნდა ვსთქვა გამგეობის სასურსათო სექციის მოღვაწეობაზე, რომელიც დიდ დახმარებას უწევს მოსამსახურეებს სურსათ-სანოვაგის იაფ-ფასებში მიწოდებით. მაგალითად, დღიდან ე. იგი აპრილიდან, რაც რომ სექცია დაარსდა, მიიტანეს ორჯელ კონიაკები.

ერთხელ „უნიონის“, რომელმაც ძალიან შეუწყო ხელი გაფიცვას და ახლა კი საწყობში აქვთ კონიაკი „სესიევის“, რომელიც იყიდება კერძო ვაჭართან ბოთლი 150 მანეთად და ეს სექცია კი სულ ცოტა მოგებით ყიდის, მაგ., ბოთლზე 70 მანეთს იგებს მეტს არა და სად წავა ეს ფული, არ ვიცი, ალბათ გამგეობის შემოსავალში ჩაიწერება ვნახოთ. კარგია მაგარი სასმელები, მაგრამ ეს ჩვენ არ გვჭირდება. ის მენშევიკების საქმეა, როგორც ბურჟუაზიული პარტიის და არა პროლეტარების, ისიც ასეთ დროს. ჩვენ გვინდა პური სიმინდი და არა ფუფუნების საგნები. აი ამხანაგებო, რომ გვპირდებოდენ ცამდე აგაშენებთო, ეს არის მთელი მათი მოღვაწეობა დღიდან მათი გამგეობის დაარსებისა. ორჯელ მოიტანეს კონიაკი. მეტი თუ რამ გააკეთეს თითონ სთქვან. რა გაეწყობა ერთხელ თქვენც დაიჯერეთ, მაგრამ კარგად იცოდეთ, რომ აწი ველარ მოგვატყუებთ თქვენი დემაგოგიით და გაუწითლებლად ნათქვამი ტყუილებით.

**მუშა ნიკოშვილი.**

## მისალმებანი

გულწრფელი სალამი და გამარჯვება მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველ გაზეთს საქართველოს „ახალ კომუნისტს!“ სალამი და გამარჯვება მისი შეუპოვარ მებრძოლ თანამშრომლებს უსურვებთ მათ ბრწყინვალე იდეალების განხორციელებას და ყოველივე დაბრკოლებების გადალახვას. ჩვენ ღრმათ გვწამს, მიუხედავათ ყოველივე სასტიკი რეპრესიული ზომების მიღებისა, რომელიც არის მიმართული მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მშრომელი მასის წინააღმდეგ, ერთი წუთითაც ვერ შეაჩერებს ვერავინ მშრომელი მასის წრეში კომუნიზმის ზრდას. ჩვენ გვრწამს, რომ საქართველოს „ახალი კომუნისტი“ თავისი სამართლიანი მჭექარე ხმით შეაერთებს საქართველოს ყველა დაჩაგრულ მასას კომუნისტური დროშის ქვეშ. და თქვენ კი, ქართველი მშრომელი ხალხის მტერნო! და ჯალათებო! კრთოდეთ და გეშინოდეთ—ვინაიდან მსოფლიო ისტორიამ თქვენ სასიკვდილო განაჩენი გამოგიტანათ. ამასთანავე იცოდეთ, რომ თქვენ, თქვენი ჭუჭყიანი ხელებით ვერ შესძლებთ საქართველოს მშრომელი მასის წრეში კომუნისტური მისწრაფების ჩაქრობას, ვინაიდან მათთან არის როგორც საქართველოს, ისე მთელი ქვეყნის მშრომელი მასსა.

ჩვენ სამხედრო პირები № 2 ნაწილისა ვიღებთ ჩვენს მცირე წვლილს 675 მან. გაზეთ „ახალი კომუნისტის“ ფონდის გასაძლიერებლათ. ამხანაგების მონდობილობით **ნადოხორელი.**

შემომწირველთა სიას ხელს აწერს 9 ამხანაგი.

თფილისი, 13 აგვ. 1920 წ.

---

**ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის** მოსამსახურეთა კომუნისტური იაჩეიკა სიხარულით მიესალმება ჩვენს მებრძოლ ორგანოს „ახალ კომუნისტს“, დარწმუნებული ვართ, რომ ეს მებრძოლი ორგანო შესძლებს თავის მოწოდების და დანიშნულების პირნათლად შესრულებას. მხურვალე სალამს უძღვნით „ახალ კომუნისტს“ რომელიც მოვლინებულია ეკლიან გზის გასაკაფ-გასაშუქებლათ. გაუმარჯო ამ მებრძოლ ორგანოს დაუღალავ ხელმძღვანელებს. გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს, რომელიც არის მთელი მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესების დამცველი. დეე სჭექდეს თქვენი შეუდრეკელი ხმა სიმართლისა განცხრომის შვილთა შესამუსრავათ, და პოლიტიკურ-ეკონომიურათ დამონავებული მუშების განსათავისუფლებლათ.

ჩვენი ორგანიზაცია ფიცსა სდებს, რომ ის არ დაუშვებს ერთხელ მაღლა აწეულ შრომის და ბრძოლის წითელ დროშას და აღუთვამთ ჩვენს ორგანოს ყოველ მხრივ დახმარებას. ვერავითარი რეპრესიები ვერ შეაჩერებს ჩვენს მუშაობას პროლეტარიატის საკეთილდღეოთ.

გიგზავნით ჩვენს წვლილს 2,100 მან. გაზეთის ფონდის გასაძლიერებლათ.

**ქუთ. ფ.-ტ. კანტორის კომუნისტები.**
9 აგვისტო, 1920 წ. ქუთაისი.

## ფონდი

1. აზერბაიჯანის მისიაში მოსამსახურეთაგან გაზეთის ფონდის გასაძლიერებლათ მიღებულია 500 მან.
2. თბილისის მეოთხე რაიონისაგან—276 მან.

**დრ. რედაქტორი:**
**დიმიტრი ჯორბენაძე.**

## უწყებანი:

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის მეოთხე რაიონის ბიურო დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

---

**ამხანაგების საყურადღებოთ!**

მეორე რაიონის ს. კ. პ. ბიურო დროებით გადავიდა ტატიანის ქუჩიდან რუსთაველის სადგომში. მიღება ყოველ დღე დილის 10 სათ.—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

---

**მესამე რაიონის ს. კ. პ. ბიურო** დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 ნახ. საათიდან ნაშუადღევის 1 ნახ. საათამდინ და საღ. 5 ნახ საათ. 7. ნახ. საათ.

---

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვას ქუჩაზე 135. სადაც პლეხანოვის სამკითხველოა.

ბიურო ღიაა საღამობით 5—7 ნახ. საათამდე.

---

ბიურო ს. კ. პ. ლანჩხუთის რაიონული კომიტეტისა მოთავსებულია კალისტე ებრალიძის შენობაში (მუშათა უბანში), აქვე მოთავსებულია დროებით გურიის კომიტეტი საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური პარტიისა.

**რაიონ. კომიტეტის პრეზიდიუმი.**

---

საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურო დროებით მოთავსებულია ნოვო-ბებუთოვის ქ. № 11 (Ново Бебутовская ул. № 11) მდივანი იღებს 11—1 ს.

## ორგანიზაციების საყურადღებოთ!

საქ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის საწყობში არის შემდეგი გამოცემები. ორგანიზაციებს შეუძლიათ მოიკითხონ კომიტეტის სადგომში—ტფილისი, პასკევიჩის ქ. № 3.

1) საგუბერნიო თათბირი ქ. ტფილისში და დადგენილება მიწის შესახებ.
2. კომუნისტური პარტიის მანიფესტი.
3. საბჭოთა რესპუბლიკა.
4. კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმა.
5. ვლ. როზანოვი—იმპერიალიზმი.
6. კავკასიის მშრომელ მასსას.
7. მიწის სოციალიზაციის ძირითადი კანონი.
8. ლენინის მოხსენება და სიტყვა მე-3 საბჭოთა ყრილობაზე.
9. ნ. ლენინი—სახელმწიფო და რევოლიუცია.
10. კ. მარქსი და ფ. ენგელსი—კომუნისტური მანიფესტი.
11. ნ. ბუხარინი —პროგრამა კომუნისტებისა (ბოლშევიკების).
12. პარტიული წესდება,

სტამბა „ეკონომია“ დიდი ვანქის ქ. № 3.